ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიასა

და

სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა
მექანიკის ინსტიტუტს

შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიასა
და
სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტს შორის

ქ. თბილისი 13 მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია (შემდგომში „აკადემია"), წარმოდგენილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელის, პოლკოვნიკი მამია ბალახაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი"), წარმოდგენილი დირექტორის თამაზ ნატრიაშვილი სახით (შემდგომში „მხარეები"), ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ მხედველობაში სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ მომავალი თაობებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიცემისა და მათთვის სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბების მნიშვნელობას,გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის ნებას, მზადყოფნას დათანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია აკადემიასა და ინსტიტუტს შორის დამყარდეს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები, რომელიც ხელს შეუწყობს მხარეთა შორის საგანმანათლებლო, კვლევითი, ინოვაციური პროგრამების განვითარებასა და პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლებას.

მუხლი 2.

მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1.მხარეები:

ა) შექმნიან თანამშრომლობის რეალურ პირობებს, ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამხედრო და საინჟინრო ტექნოლოგიების მიმართულებებს;

ბ) ხელს შეუწყობენ განათლებისა და მეცნიერების სფეროში გამოცდილების გაზიარებას;

გ) ითანამშრომლებენ სამხედრო, სამეცნიერო და საინჟინრო კვლევებში;

დ) ითანამშრომლებენ საჯარო ლექციების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა აქტივობების ჩატარებაში;

ე) გამოხატავენ მზადყოფნას ქვეყნის თავდაცვიუნარიანობის გაძლიერებასა და ამაღლებაში;

ვ) განიხილავენ თანამშრომლობის სხვა ნებისმიერ ფორმებს და მიმართულებებს, რომლებიც არ არის ასახული წინამდებარე მემორანდუმში;

2.2. აკადემია:

ა) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს საკონფერენციო, სალექციო დარბაზების, სპორტული და კულტურული კომპლექსების და სხვა ინფრასტრუქტურული საშუალებების გამოყოფას;

ბ) უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო ფონდით სარგებლობას;

გ) უზრუნველყოფს ლაბორატორიების და სამხედრო დანიშნულების საშუალებების გამოყენებას;

2.3. ინსტიტუტი:

ა) უზრუნველყოფს მექანიკის ინჟინერიის საბაკალავრო და სხვა საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული საინჟინრო მექანიკის თემატიკის პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისათვის ლაბორატორიული საშუალებების გამოყენებას;

ბ) უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის ჩართულობას აკადემიური პროგრამების თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებში;

მუხლი 3.

დამატებითი პირობები

ა) წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები;

ბ) მემორანდუმი უვადოა, ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილებების მიღებამდე. შეთანხმება არ შეიცავს მხარეთა ვალდებულებებს. ის არ წარმოადგენს აუცილებლად შესასრულებელ დოკუმენტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასში მოცემული ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია თითოეული მხარის ნებაზე, შესაძლებლობაზე და კომპეტენციაზე. მხარეთა შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

გ) მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

პოლკოვნიკი მამია ბალიაძე

სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

თამაზ ნატრიაშვილი